დღეს გაიხსნება საქართველოს კომპარტიის თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენცია

მხურვალე, გულითადი სალამი კონფერენციის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
პარასკევი
26 დეკემბერი
№ 296 (17938)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ზრდისა და შენების გზით

დღეს საბჭოთა საქართველოს ჭალარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა დედაქალაქში მუშაობას შეუდგება თბილისის კომუნისტთა მორიგი, ოცდამეთვრამეტე კონფერენცია.

დედაქალაქის საუკეთესო წარმომადგენლები კონფერენციაზე მოდიან, რათა ჩვენი საერთო საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობით, ღრმად და საფუძვლიანად გაანალიზონ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობა, საქმიანად ამსჯელონ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, დასახონ მათი გამოსწორების, უკეთ მუშაობის გზები, მომავლის ამოცანები.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის მებრძოლი რაზმია, მისი მუშაობის ლაბორატორიაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება, რომელშიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის ფონზე გამოაშკარავდა მთელი რესპუბლიკის ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ თავისი ბრძოლისა და მოქმედების სახელმძღვანელოდ დაისახა.

და პირუკუ: თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, პირველადი პარტორგანიზაციების მიერ გაწეული ორგანიზატორული, პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დიდი ნაყოფიც არის ის დადებითი შედეგები, რომლებიც ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლის შედეგად მოვიპოვეთ. ისინი კი მოკლედ და ყოვლისმომცველად შეაჯამა საქართველოს კომპარტიის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებამ.

ახლახან ჩვენმა რესპუბლიკამ აზიომა მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულება. ამ საამაყო წარმატებაში თბილისელებმა კვლავ თქვეს თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა. ქალაქის მრეწველობამ ჯერ კიდევ ოქტომბრის მიწურულს შეასრულა ხუთწლედი და იმთავითვე შეუდგა მეთერთმეტე ხუთწლედში წარმატებული შრომისათვის საიმედო საფუძვლის შექმნას.

„ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ თბილისელი კომუნისტების ინიციატივას, — თქვა 1 დეკემბერს თბილისში, კონსტიტუციის მოედანზე გამართულ მიტინგზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, — რომლებმაც იკისრეს ახალი, უფრო დიდი ვალდებულებანი და ყველა შრომითს კოლექტივს მოუწოდეს მიბაძონ მათს მაგალითს. ეს რესპუბლიკას საშუალებას მისცემს 20 დეკემბრისათვის სამრეწველო წარმოების მატება გაზარდოს 41 პროცენტამდე, ესე იგი მიაღწიოს ხუთწლიანი გეგმით დადგენილ ამ მაჩვენებლის უმაღლეს დონეს.

ამას ჩვენთვის უდიდესი, მე ვიტყოდი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო ვმაღლდებით სოციალურ-ეკონომიკურ ზრდაში ახლანდელი ხუთწლედის მანძილზე, მით უფრო მაღალი პოზიციებიდან დავიწყებთ ახალ, მეთერთმეტე ხუთწლედს, რომელშიც უნდა გადავწყვიტოთ მეტად რთული, მეტად პასუხსაგები ამოცანები“.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა და მონოლითური გახდა ქალაქის თითქმის 90-ათასიანი პარტიული ორგანიზაცია, ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი. ახლა თბილისის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულია 72.700-ზე მეტი კომუნისტი. მათგან 40 ათასამდე კაცი უშუალად მატერიალური წარმოების სფეროში შრომობს. უწინარეს ყოვლისა, სწორედ ისინი ეკუთვნენ ყველა სახიკეთო თაოსნობის წამომწყებნი, იბრძოდნენ ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის. ასეთი მაძიებლური სულისკვეთება დამახასიათებელი თვისება არის საერთოდ მთელი ქალაქის პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელიც თანამიმდევრულად აუმჯობესებს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობას, კადრებთან მუშაობას, ავითარებს მასების შემოქმედებითს ინიციატივას, აძლიერებს იდეურ-აღმზრდელობითს საქმიანობას, აააქტიურებს მთელ შინაპარტიულ მუშაობას.

საქმისადმი ასეთი სერიოზული, გააზრებული და უნარიანი მიდგომის შედეგია საანგარიშო პერიოდში მოპოვებული წარმატებები, სასიკეთო ცვლილებები, გარდაქმნები.

ხუთწლედის მანძილზე გამოშვებულია 250 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო ნაწარმი. 42 საწარმომ ექვსი თვით ადრე შეასრულა ხუთწლედის დავალებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხიც — ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 400 სახეობის ნაკეთობის ნაცვლად სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა 1.000-ზე მეტ ნაწარმს.

სტაბილურად სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმები. ბოლო ორ წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცა 480 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი. ერთგვარი წინსვლა არის მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროშიც, გაუმჯობესდა საზოგადოებრივი კვების სისტემა...

ყოველდღიურად იზრდება, ლამაზდება და მხრებს შლის ჩვენი თბილისი, მაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე, უმჯობესდება მათი შრომისა და დასვენების პირობები.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა ახალი, გლდანის რაიონი, ამოქმედდა ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკა, № 8 პურის ქარხანა, თვალის საავადმყოფო, თბილისის მეტროპოლიტენის საბურთალოს ხაზი, რომელიც სატრანსპორტო მშენებლობის ორგანიზაციათა და საწარმოების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსახლეობისადმი გაგზავნილ მისალმებაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მოიხსენია. რეკონსტრუირებულია ძველი თბილისის ისტორიული ნაწილი, აშენდა ადმინისტრაციული შენობები, ახალი მიწისქვეშა გადასასვლელები, სკოლები, პროფტექნიკური სასწავლებლები, ბაგა-ბაღები... დიახ, წარმატებები საკმაოდ არის, მაგრამ გასაკეთებელი და საფიქრალ-საზრუნავიც ბევრია. ქალაქის პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების საგანი დღეისადაგ უნდა იყოს ის, რომ მთლიანად შეესახა ხარკი პირველმაისელ კომუნისტთა შესანიშნავ პატრიოტულ ინიციატივას „ვიმუშაოთ უჩამორჩენლებოდ“. ეს აუცილებელია, რადგან წარმატებებთან ერთად არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალაქის ზოგიერთი საწარმოს შრომითი კოლექტივი ვერ მისდევს დღევანდელობას, ვერ ახარებს საგეგმო დავალებისა და ვალდებულებებს. ჩამორჩენას მოლიანად კვლავ ვერ დაალწია თავი საწარმოო გაერთიანება „ჩარხშენებელმა“, გეგმა-ვალდებულებათა შესრულება საფრთხეშია „ფოლად-თუჯსამხმელო“ ქარხანაში. უთუოდ ცუდია ისიც, რომ ქალაქის ზოგიერთი საწარმოს კოლექტივს მიზეზით წლეულს მოსახლეობას 1,2 მილიონი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმი დააკლდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიზანდასახული ღონისძიებები განხორციელდა და თვალსაჩინო წარმატებებიც არის, ცუდია ბინათმშენებლობის ხარისხი, სერიოზული ნაკლოვანებებია ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, წყალმომარაგების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობაში. კვლავაც ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თბილისი მართლაც გახდეს სანიმუშო კომუნისტური შრომისა და ყოფის ქალაქი...

რამდენიმე დღეც, და ისტორიის კუთვნილება გახდება მიმდინარე, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ მომავალი წლის პირველი დღეებიდანვე კარგი სტარტი ავიღოთ. საიმედო საფუძველი უნდა მოვამზადოთ იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ის გრანდიოზული პროგრამა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობა დაგვისახავს.

ᲞᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐ

მოსკოვში 24 დეკემბერს მუშაობა დაამთავრა აგრონომთა საკავშირო თათბირმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ᲮᲔᲚᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲘᲐᲜ...

ხელდამშვენებული ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიულ კონფერენციას. ხუთწლედის დავალება თბილისელებმა ვადამდე შეასრულეს დ უმატეს შრომის ტემპს.

სურათზე: თქვენ ხედავთ თბილისის XXXVIII კონფერენციის დელეგატებს — (მარცხნიდან) ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ლაბორანტს **მ. შარბანიშვილს**, ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროაგონშემკეთებელი ქარხნის მეედელს, სოციალისტური შრომის გმირს **კ. ილურიძეს**, კინორეჟისორ **თ. ამაულაძეს**, „თბილისგვირაბმშენის“ გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელს **ა. ზარქუას**, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანს **ფ. ილაშვილს**, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს **პ. ტენიშევს** და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს **ხ. გამრეკელს**.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ

წითელი მიხაკების გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. უკვდავი „აპასიონატის“ საზეიმო ჰანგები ახლდა რევოლუციის ბელადის ძეგლის გვირგვინით შემკობის მთელ ცერემონიალს საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე, რომელიც მის სახელს ატარებს. აქ კეთილი ტრადიციისამებრ მოვიდნენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციის დელეგატები— პარტიული და საბჭოთა მუშაკები, შრომის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, რათა კომუნისტების ფორუმის წინ გამოეხატათ უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისადმი.

გვირგვინით შემკობის საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნები ზ. მესხიშვილი და ნ. ენდელაძე.

შემდეგ კონფერენციის დელეგატები ეწვივნენ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეას. აქ მათ დაათვალიერეს სხვადასხვა თაობის ქართველი მხატვრების სურათების ექსპოზიცია, რომელიც მოგვითხრობს ძველი და ახალი თბილისის შესახებ.

გამოფენის გახსნისას საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ნ. ჯანბერიძემ გამოთქვა რწმენა, რომ ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციისადმი მიძღვნილი გამოფენა ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდება რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ექსპოზიცია თვალნათლივ ასახავს ქალაქის განვითარებას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის, მეცნიერებისა და კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი გახდა.

იმავე დღეს კონფერენციის დელეგატები იყვნენ გამოცემლობა „მერნის“ „საგამოფენო დარბაზში, სადაც საქალაქო პარტიულ კონფერენციასთან დაკავშირებით გაიხსნა პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის გამოფენა. (საქინფორმი)

● ●

სურათზე: თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები გვირგვინით ამკობენ ვ. ი. ლენინის ძეგლს.

გ. კიკვაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲣᲓᲐᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ

მხრებსა შლი ფართოდ, მიიწევ მაღლა,
მზისთვალიანი ზეცა დაგხარის.
შენს გულისცემას, თბილისო, ახლა
მთლად საქართველოს უსმენს მთა-ბარი.

თბილისო, მზე და ბარაქა გშვენის,
გშვენის გარჯა და ზეიმიც გშვენის
და დიდ სამშობლოს ამშვენებს ახლა
ჯანმოუღლელი სიცოცხლე შენი.

გშვენის სიცოცხლის გასხივოსნება,
გონიერ გარჯით გზადალოცვილი.
მარად მებრძოლი პატიოსნება
გულზე გკიდია ავგაროზივით.

რეკავს და რეკავს სიკეთის ზარი,
მოიზვირთება სიმღერის მტკვარი
და საქართველოს გულმხნე სიმღერით
ცას უცებ ცხრავე ეხსნება კარი.

გალობით მტკვრისა ქალაქიც გალობს
და ჩიტებივით გალობენ ხენიც.
იმედით სავსე და სავსე რწმენით
ჩვენ გვიგალობენ მომავლის დღენი.

მიყვარს საარი თბილისის დილის
სიმღერა გამრჯე კაცის და მუშის.
მე დედასავით შევხარი თბილისს
და ფიქრი მზისებრ ნათდება გულში.

ხარობს თბილისის უკვდავი ფესვი
და მისი ფესვის რუსთავ-სამგორი.
აჰა, შენს დილას ვაახლე ლექსი,
ლექსი ვაახლე მგოსნურ ამბორით.

მუდამ თბილია თბილისის გული,
თავს ადგას შუქი ქართველი დედის,
ადგილის დედა დღედაღამ უვლის,
მას აბარია თბილისის ბედი.

თბილისის გული თბილია მარად,
დიდხანს ნაბრძოლი ვებედით ჟამთან:
აჯობა რამდენ კუპრისფერ ვარამს
აჯობა რამდენ სისხლიან ზამთარს.

რეკავს, გუგუნებს სიკეთის ზარი,
მოედინება სიმღერის მტკვარი
და საქართველოს გულმხნე სიმღერით
ცას უცებ ცხრავე ეხსნება კარი.

მტერს ხვდები მტრულად, მოყვარეს — ლხენით,
იცი ჭეშმარიტ სიცოცხლის გემო,
სიმდიდრე შენი, სიკეთე შენი
რას აღარ მისწვდა, თბილისო ჩემო!

თბილისო, მარად კეთილო ფიქრო,
ავისთვის მკაცრო, სათნოსთვის სათნო,
დღეს შენი გულის ღვთიური სითბო
პრომეთეს ცეცხლით ჩვენს გულსაც ათბობს.

მუდამ თბილია თბილისის გული,
თოვლი აქ დგომას დიდხანს ვერ ბედავს:
მზე უვლის თბილისს,
თბილისს მზე უვლის,
ცისა და მიწის უკვდავი დედა.

თბილისს პატრონობს მზის ანგელოსი,
თვითონაც არის უწმინდეს გრძნობის:
თბილისი — გული საქართველოსი
არის გულტკბილი ქალაქი ძმობის.

გულებში რეკავს სიკეთის ზარი,
მოიზვირთება სიმღერის მტკვარი
და საქართველოს გულმხნე ძახილით
ზეცას ახალი ეხსნება კარი.

გალობით მტკვრისა მთა-ბარიც გალობს
და ჩიტებივით გალობენ ხენიც.
იმედით სავსე და სავსე რწმენით
ჩვენ გვიგალობენ მომავლის დღენი.

აკაკი გეწაძე.

1980 წლის 25 დეკემბერი.

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ — ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ თბილისის პარტორგანიზაციის XXXVIII კონფერენციის წინ თბილისის სახლთსაშენებელი კომბინატის ტერიტორიაზე, ლილოში მოაწყო იმ პროდუქციის გამოფენა, რომელსაც გაერთიანება „თბილისსახლმშენის“ საწარმოები ამზადებენ. აქ წარმოდგენილია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოშვებული მრავალფეროვანი ახალი პროდუქცია და არა მარტო ახალი: ყოველი ექსპონატის გვერდით ვხედავთ მის წინამორბედსაც.

სპეციალისტებს და საერთოდ, დამთვალიერებლებს, შეუძლიათ ბევრი რამ ნახონ. ყოველ ნაკეთობას დართული აქვს თანმხლები მონაცემები, რომლებიც გვაცნობენ მისი დამზადების ტექნოლოგიას.

გამოფენაზე სოლიდური ადგილი უკავია საცხოვრებელი სახლების სადარბაზო ბარათებს — იმ ნაკეთობებსა და კონსტრუქციებს, რომლებიც ფასადს აყალიბებენ. დღეს თბილისის სხვადასხვა რაიონში შენდება რვა ექსპერიმენტული ეტალონური საცხოვრებელი სახლი ისეთი ელემენტებისაგან, რომლებიც ფასადს განსაკუთრებულ გამმახატველობას ანიჭებენ. მომავალი წლიდან რესპუბლიკის დედაქალაქის საცხოვრებელი სახლების მშენებლობებზე მასობრივად გამოიყენებენ ფასადსაყალიბებელ ახალ ნაკეთობებს.

ახალმოსახლენი კმაყოფილნი დარჩებიან რელიეფური ჩუქურთმით შემკული ახალი საფრონტონო ბლოკებით, რომლებიც დაამშვენებენ სახლების ბარგიან იერსახეს. ეს ერთ-ერთია იმ მრავალი სახეობის პროდუქციიდან, რომელიც გამოფენაზე წარმოადგინა № 14 ტრესტმა.

ყურადღებას იპყრობს ლოჯის შემოსაკავებელი ახალი გარე საკედლე პანელი სამი ექვსკუთხა დიდი ღიობით, რომლებსაც რელიეფური შვერილი გასდევს. № 1 სახლთსაშენებელი კომბინატის ნიალლის გამოყენება ცვლის და აუმჯობესებს ფასადის არქიტექტურას.

№ 10, № 14, № 15 ტრესტებმა, „მიწქვეშმშენმონტაჟმა“, ლილოს სახლთსაშენებელმა კომბინატმა, საშენ მასალათა გაერთიანებულმა კომბინატმა და სხვა საწარმო-ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ინვნის შემოსაკავებელი სრულიად ახალი, გემოვნებით მოპირკეთებული ფასადური ელემენტები, ასაწყობი სათბოფიკაციო კამერები, ურულონო სახურავი, ბეტონის, ჰემზა ბეტონის, ლავგარდნის გარეთა საკედლე პანელები, დიდმალი სხვა ნაწარმი.

გამოფენის დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს ორიგინალური „ფანჩატურები“, საბავშვო მოედნები.

მთელი პროდუქცია, რომელიც გამოფენაზეა დემონსტრირებული, წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული 16 სართულამდე სიმაღლის ბლოკური, დიდპანელიანი და კარკას-პანელიანი კონსტრუქციების სახლების მშენებლობაზე.

მარჯვედ შერჩეული ექსპონატები ვრცელ პალიტრას ქმნიან და გვაძლევენ მშენებელთა მდიდარი შესაძლებლობების მთლიან სურათს. სიახლეთა დანერგვას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მოაქვს, იგი უზრუნველყოფს ბინადართა მაქსიმალურ კომფორტს, აყალიბებს მეთერთმეტე ხუთწლედში საცხოვრებელი სახლების ახლებურ იერსახეს.

გამოფენის გვერდით სრული სიმძლავრით მუშაობს სახლთსაშენებელი კომბინატი. წელიწადში 132 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ბინებს დამზადებს ეს ყველაზე სრულყოფილი საწარმო. მის გახყოფილებებში: არმატურის, ასაწყობი და მოცულობითი ელემენტების, გარეთა კედლების, საკასტო, სარემონტო-მექანიკიერ და სხვა საამქროებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება დევიზით: „ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVI ყრილობას“, „სანიმუშო კომუნისტურ თბილისს-ქალაქს — სანიმუშო საცხოვრებელი ბინები“. აქ გადაწყვიტეს შინაგანი რეზერვების შემდგომი გამოყენების, შრომის საუკეთესო მეთოდების დანერგვის ბაზაზე ვადამდე შეასრულონ ყველა საყრილობო ვალდებულება, პროდუქციის მთელ მატებას მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

გამოფენის ექსპონატები, კომბინატის მუშაობა მკაფიოდ მოწმობს, თუ როგორ აბორიალებენ თბილისის მშენებლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის საყრილობო პროექტის ერთ-ერთ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ავამაღლოთ სამშენებლო წარმოების ინდუსტრიალიზაციის, საშენი კონსტრუქციებისა და დეტალების საქარხნო მზაობის დონე, გავაფართოთ ახალ ეფექტიან კონსტრუქციათა გამოყენება.

გამოფენის და კომბინატს ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. ა. ანდრონაგაშვილი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. დ. გაბუნია, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ზ. შ. მესხიშვილი, სტუმრებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ რესპუბლიკის მშენებლობის მინისტრი ნ. ა. მეძმარიაშვილი, მინისტრის მოადგილე, გაერთიანება „თბილისსახლმშენის“ უფროსი ო. ვ. კიკნაძე, ტრესტების მმართველები.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა გამოფენაზე წარმოდგენილ პროდუქციას, თქვა, რომ საბჭოთა კიდევ უფრო ვაძლიერდეს საწარმოო პოტენციალი ახალ ტექნიკურ საფუძველზე, ამაღლდეს კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა, ყოველი ღონისძიებით განვითარდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

ამასთანავე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოფენაზე წარმოდგენილი ახალი პროდუქციის მასობრივ დანერგვას მშენებლობაში, სახლმშენებელთა შრომის მატერიალური და მორალური წახალისების ფორმების ფართო გამოყენებას. ესეც ერთ-ერთი გარანტიაა იმისა, რომ საცხოვრებელი ბინები მკვიდრად აშენდება. ბინის „მაღალ ხარისხზე ხომ დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის დონე, მათი განწყობილება და შრომისუნარიანობა, ხაზი გაუსვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

(საქინფორმი).

ᲕᲐᲛᲠᲐᲕᲚᲝᲗ ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘ!

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა და სამრეწველო საწარმოთა შრომითს კოლექტივებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად მიესალმებიან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემის მრავალათასიან კოლექტივს ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ხუთწლიანი პროგრამის ვადამდე შესრულების გამო.

სამინისტროს ორგანიზაციებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, გადაჭარბებით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციისა და საიჯარო სამუშაოთა მოცულობის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 207 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის ნაცვლად მან გამოუშვა 210 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ხუთწლედის მანძილზე დარგის სამშენებლო ორგანიზაციები წარმატებით აშენებდნენ საწმენდ და საკანალიზაციო ნაგებობებს, წყალსადენებს. ასრულებდნენ საბინაო ფონდის, სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალური მეურნეობისა და ბევრი სხვა ობიექტის სარემონტო სამუშაოებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შრომითი კოლექტივები ამრავლებენ მიღწეულ წარმატებებს შინაგანი რეზერვების მაქსიმალური მობილიზაციის, საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე, ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა საქართველოს სს რესპუბლიკაში აკრედიტებულ ცენტრალური პრესის საკუთარ კორესპონდენტებს.

საუბრის დროს ჟურნალისტებმა ილაპარაკეს უკანასკნელი წლების მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ. თავიანთ სამერმისო შემოქმედებით გეგმებზე, გამოთქვეს მთელი რიგი სურვილები და წინადადებანი იმის შესახებ, რომ გაუმჯობესდეს მშრომელთა კოლექტივების შრომითი მიღწევები, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, დამუშავდეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საპრობლემო საკითხები ცენტრალური პრესის ფურცლებზე, შეიქმნას საქართველოს სს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შესახებ საკუთარ კორესპონდენტთა ოპერატიული ინფორმირების სისტემა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებს, ტელევიზიასა და რადიოს და მათ საკუთარ კორესპონდენტებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელთა მიერ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში.

ილაპარაკა რა პარტიის XXV ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძირითადი შედეგების შესახებ, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დაისახა იმასთან დაკავშირებით, რომ გამოქვეყნდა პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები“. ხაზგასმით აღინიშნა, რომ იზრდება პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანიზატორული, პროპაგანდისტულ-საგაგიტაციო საქმიანობის როლი კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანების გადაწყვეტაში. ითქვა, რომ ჟურნალისტები, ცენტრალურ გამოცემათა საკუთარი კორესპონდენტები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ რესპუბლიკაში ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, სამეურნეო მართვის, დაგეგმვის სრულყოფის, პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა დანერგვის კონკრეტულ საკითხთა პროპაგანდაში, სოციალისტური ცხოვრების წესის პრინციპებისა და ნორმების დამკვიდრებაში, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, ახალი ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებაში.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ქ. კ. შარტავა. (საქინფორმი).

ᲛᲬᲣᲮᲠᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

დიდ წარმატებას მიაღწიეს „ვარციხესის“ მშენებლებმა — მწყობრში ჩადგა რიგით მესამე ჰესის ორი აგრეგატი.

აღსანიშნავია, რომ „ვარციხ ჰესის“ მშენებლობაში მონაწილეობენ ჩვენი დიადი ქვეყნის თხუთმეტი ეროვნების წარმომადგენელნი, რომელთა უმრავლესობამ მეათე ხუთწლედის დავალება პირველი ოქტომბრისათვის შეასრულა.

ახალი აგრეგატების ამოქმედებით ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას 46 ათ

ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ

XXXVIII

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ, ᲛᲘᲚᲬᲔᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲡᲐᲥᲘᲠᲘᲚᲝ-ᲑᲝᲛ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ; ᲛᲐᲗ ᲛᲙᲐᲪᲘᲠᲔᲓ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲡ ᲨᲔᲘᲒᲠᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲘᲡ ᲞᲐᲠᲘᲒᲐᲚᲓᲐᲨᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ გაითქვა თბილისის მე-10 ტრესტის მესამე სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მშენებელმა ა. ინასარიძემ. მისმა კოლექტივმა მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს მუშაობაში ზლობინური მეთოდის დანერგვის შედეგად მიაღწია. ა. ინასარიძეს თავდადებული შრომა დაუფასდა. იგი არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. კომუნისტმა ამხანაგებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს და თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატად აირჩიეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: თქვენ ხედავთ ა. ინასარიძის ბრიგადის წევრებს. მარცხნიდან გ. ბაციკაძე, ნ. უნდილაშვილი, ვ. აზარიანი, ტ. სანადირაძე, ა. ინასარიძე (ბრიგადირი), ა. თაქთაქიშვილი და გ. მეფარიშვილი.

Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲩᲔᲛᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ!..

ᲤᲚᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ნახევარი მილიონი ტონა ჩაის ნედლეულიდან, მობილური და ხელით საკრეფი მანქანებით მოიკრიფა მხოლოდ 72 ათასი ტონა. დღევანდელ პირობებში ეს ერთობ ცოტაა. ამიტომ ბევრი პრობლემის წინაშე დგას ქარხანა „საქსოფლმანქანა". აი რა გვითხრა ამის შესახებ საწარმოს დირექტორმა თენგიზ სტურუამ.

„საქსოფლმანქანა" თითქმის 20 დასახელების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მანქანებს უშვებს. ჩვენთვის მაინც მთავარია ჩაის მეურნეობისათვის საჭირო მანქანების წარმოება და ვაკეთებთ ყველაფერს ჩაის პლანტაციებისათვის: კულტივატორებს, მექანიკურ სასხლავებს, ჩაის საკრეფ მანქანა „საქართველოს" და ხელის საკრეფ აპარატებს.

ჩვენი შრომის ამჟამინდელი დევიზია პრაქტიკულად განვახორციელოთ სადირექტივო ორგანოების მითითება ჩაის სასხლავი და საკრეფი მანქანების წარმოების შესახებ. რაღა თქმა უნდა, ამ საქმეში მარტონი არა ვართ. ჩვენ გვეხმარება იქესი საკავშირო სამეხიტრო. მიზანი საერთო გვაქვს: ჩაის პლანტაციებში მაქსიმალურად უნდა გამოვიცხოთ ხელის შრომა. ვფიქრობთ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის რესპუბლიკაში ამის შესაძლებლობა იქნება. ყოველდღიური სამუშაო პროგრამით ვითვალისწინებთ „საქართველოს" დახვეწას და სრულყოფას, საკრეფი აპარატების გაუმჯობესებასა და სერიულ წარმოებას.

„საქსოფლმანქანის" დირექტორმა აგრეთვე გვითხრა, რომ წლეულს სულ 82 „საქართველო" აუწყვიათ და 3 ათასი საკრეფი აპარატი დაუმზადებიათ. გაისად აპირებენ სამჯერ მეტი მომცრო და მცირე მანქანები გამოუშვან. ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ორ-სამჯერ გაიზრდება მანქანური კრეფა. ეს იქნება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს და თუ ამ კურსით ივლიან, ხუთწლედის ბოლოსათვის მიზანს მიაღწევენ — ხელის შრომა აღარ იქნება საჭირო.

თუმცა მანამდე ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი.

ქარხნის ხვალინდელი დღისათვის შენდება ახალი საწარმოო კორპუსი, 20 ათას კვადრატულ მეტრზე რომ გაშლილა. ეს არის უნივერსალური ნაგებობა, მთლიანად ლითონკონსტრუქციებით აწყობილი. ეს იქნება მძლავრი ბაზა, რომელიც საჭიროებისას ნებისმიერ სასოფლო-სამეურნეო მანქანას დაამზადებს.

ამ კორპუსის ამოქმედებას დიდი იმედით ელიან ქარხნის ხელმძღვანელები, მუშები და ოსტატები.

ᲩᲔᲛᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ!

— ᲓᲘᲓᲘ მადლობელი ვართ, დიდი... — აღტაცებით წამოიძახა კარლო ბუკაამ, — ასეთი საჩუქარი არც დაესიზმრებოდათ ახალი წლის წინ ხეთელ ბავშვებს: საკუთარი მანქანა, საკუთარი გზები და ჰერი! ჩვენი სოფლის მოსწავლეები არასოდეს დავიწყებენ შეფების ამაგს, არ შეგარცხვენენ, ბატონო გრიგორ! — ორივე ხელი გაუწოდა და აღუწონავი სიხარულით პეშვში მოიქცია შემხვედრი მარჯვენა.

— ეს დედაქალაქის ვალია, საქართველოს ყოველ კუთხეს უნდა გასწვდეს მისი ფიქრი, — თქვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სახელობის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო მასწავლებელმა გრიგოლ კობახიძემ. — უფრო ადრე ჩვენ ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლას, სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, ფიზიკის ლაბორატორიის ხელსაწყოები გადავეცით, ახალციხის მე-5 საშუალო სკოლას კი ფიზიკა-ქიმიის კაბინეტის აღჭურვილობა ვუსახსოვრეთ. მაშ, ხეთელ ყმაწვილებს რატომ გამოვარჩევდით? მათთვისაც ხომ უნდა გვეწოლადებინა ჩვენი გულის სითბო!

ჩვენ სკოლის დირექტორის კაბინეტში ვისხედით. საუბარი ძალიან საინტერესოდ წარიმართა. შეკითხვები უბარალოდ, თავისით მიჰყვებოდა ერთმანეთს.

— ბატონო გრიგოლ, თქვენ ჩვენი დედაქალაქის პარტიული კონფერენციის დელეგატი ბრძანდებით და ვიდრე ამ დიდნიშვნელოვანი ფორუმის საყურადღებო გამოსვლებს თქვენი უბის წიგნაკის ფურცლებზე გადაიტანდეთ, გთხოვთ, გვითხრათ, წინა საქალაქო თავყრილობაზე რამ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲣᲚᲔᲕᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ— ᲡᲝᲤᲔᲚᲡ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ; ᲛᲐᲗ ᲛᲙᲐᲪᲘᲠᲔᲓ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲡ ᲨᲔᲘᲒᲠᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲗ.

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲛ ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" „ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ" Გ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ᲓᲐ Ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲘᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲙᲣᲚᲢᲘᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲮᲚᲐᲕᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ" ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲝ Ა�პᲐᲠᲐᲢᲘᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲜᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲙᲣᲚᲢᲘᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲮᲚᲐᲕᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ" ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲝ Ა�პᲐᲠᲐᲢᲔᲑᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, 20 ᲐᲗᲐᲡ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲨᲚᲘᲚᲐ. ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲐ, ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲚᲘᲗᲝᲜᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲔᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲫᲚᲐᲕᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲚᲘᲗᲝᲜᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲣᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲘᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲛᲝᲒᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲚᲘᲗᲝᲜᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ. ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲣᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲘᲚᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲕᲘᲯᲓᲘᲗ. ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲒᲕᲥᲜᲐᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲙᲣᲚᲢᲘᲕᲐᲢᲝᲠᲘᲡ, ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲮᲚᲐᲕᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲝ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ" ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲝ ᲐᲪᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲟᲐᲛᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ ᲓᲒᲐᲜᲐᲜ; ᲛᲐᲗ ᲛᲙᲐᲪᲘᲠᲔᲓ ᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲤᲝᲠᲣᲛᲡ ᲨᲔᲘᲒᲠᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲠᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲚᲘᲐᲜᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲔᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ...

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲙᲐᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲜᲘᲭᲘᲗ ᲨᲔᲘᲛᲐᲢᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲬᲔ

მორიგ ყრილობაზე!

კომუნისტები!

24 დეკემბერი. გლდანის მასივის VII-VIII მიკრორაიონების მიმდებარე ადგილები. კონფერენციის წინა დღეებში აქეთკენ მოემართებიან თბილისის XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები — კალინინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, საქარხნო, პირველი მაისის სახელობის რაიონების მოწოდებავ მუშა-მოსამსახურეები, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები. ისინი აქ მოვიდნენ, რათა ნერგები ახარონ, საფუძველი ჩაუყარონ XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის სახელობის პარკს.

სიმბოლურია დელეგატთა მონაწილეობა XXXVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის სახელობის პარკის გაშენებაში. ორი წლის წინათ თბილისის XXXVII საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე დაისვა საკითხი — რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი გადავაქციოთ ქალაქ-ბაღნარად! განზრახულის განხორციელებაში აქტიურად ჩაებნენ პარტიული და სამეურნეო მუშაკები, საწარმოთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოქალაქენი.

შარშან და წელს გაშენდა ახალდაქორწინებულთა პარკი (პირველი მაისის რაიონში), საფუძველი ჩაეყარა მეგობრობის პარკს (26 კომისრის რაიონში), გამარჯვების პარკიდან კუს ტბის მიმართულებით დაიწყო ლანდშაფტური პარკის მშენებლობა, „თბილისქალაქპროექტში“ შექმნილია ლანდშაფტური არქიტექტურის სექტორი და სხვ.

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დიდმის საბჭოთა მეურნეობამ გამწვანების სამმართველოს 500 ჰექტარი ფართობი გადასცა. აქ დაიწყო ახალი მექანიზმებით აღჭურვილი მსხვილი სასათბურე-საყვავილე მეურნეობის მშენებლობა. იგი მრავალნაირი ნერგებით მოამარაგებს თბილისს...

„თბილისქალაქპროექტმა“ ქალაქის გამწვანება-გასაყარეების გენერალური გეგმა შეიმუშავა. ამის საფუძველზე შედგენილია მომავალი ხუთწლიანი და 1980-2000 წლების პერსპექტიული გეგმები, რომელთა მიზანია თბილისის მოსახლეობის ცხოვრების, შრომისა და დასვენებისათვის ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შექმნა.

როგორც ხედავთ, თბილისის გამწვანების საქმეებს . საფუძველი ჩაუყარა XXXVII პარტიულმა საქალაქო კონფერენციამ, რომლის გადაწყვეტილებებიც წარმატებით სრულდება. ქალაქი ბაღნარად გადაიქცევა!..

ნ. ნუცუბიძე.

● ●

გლდანის მასივის VII და VIII მიკრორაიონების გარშემო ტერიტორია უახლოეს ხანში დედაქალაქის ერთ-ერთ უმშვენიერეს პარკად გადაიქცევა. თბილისის პარტიული კონფერენციის წინა დღეებში კალინინის რაიონის დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს პარკის გაშენებაში, რომელსაც XXXVIII პარტიული კონფერენციის სახელი უწოდეს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

„ამ ზაფხულს თბილისში სტუმრად მყოფმა ჩემმა მეგობარმა თავისთვის რამდენიმე სხვადასხვა ფერის შალისა და ელასტიკის როლინგსტონი შეიძინა. ერთხელ სარკის წინ რომ კოპწიაობდა, მაშინ მითხრა: იცი, ეს სვიტრი თბილისურია, ის კრემპლინის კაბა, გუშინ დაბადების დღეზე რომ მეცვა, ისიც იქაურია. თბილისური ნაჩუქრები ძალიან მომეწონა. იმედი მაქვს საქართველოში რომ ჩამოვალ, უთუოდ შევიძენ მათ“... ეს წერილი მოსკოვიდან ერთმა ჩემმა ნაცნობმა გამომიგზავნა...

მართლაც, ასეა, ამ ბოლო წლებში თბილისურმა ტრიკოტაჟის ნაწარმმა საკმაოდ გაითქვა სახელი. ამ საქმეში ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „ბახტრიონის“ კოლექტივს დიდი წვლილი მიუძღვის. აქ დამზადებული პროდუქცია რა ხანია მომხმარებლის საერთო მოწონებას იმსახურებს.

ასეთ ნაწარმზე მოთხოვნილება რომ დიდია, ეს ჯარად ესმით მეტრიკოტაჟების. ამიტომ ყოველწლიურად ზრდიან წარმოების მოცულობას. გაერთიანებამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 20 მაისს შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა და 109-ის ნაცვლად 131 მილიონი მანეთის ნაწარმი გამოუშვა.

მაგრამ წარმოების მოცულობის ზრდას რა ფასი აქვს, თუ პროდუქციის ხარისხი გულს აუცრუებს მომხმარებელს. არა, ეს არ ითქმის „ბახტრიონის“ დამღით გამოშვებულ ნაწარმზე. ფაქტი? ინებეთ: აქ წარმოებული მთლიანი პროდუქციის სამოცი პროცენტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოდის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოცდაცამეტი სახეობის ნაწარმი საპატიო ხუთკუთხედით არის აღნიშნული. ყოველივე ამას ხელი შეუწყო წარმოებაში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვამ, „ხარისხის დის“ შემოღებამ, სისტემატურმა კონტროლმა, წარმოებაში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის გაუმჯობესებამ. მარტო წლეულს გაერთიანებაში ოცდაორი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვამ წარმოებას 350 ათასი მანეთი დაუზოგა.

ახლა გაერთიანების კოლექტივში მაღალი შრომითი პათოსი სუფევს. ეს გამოიწვია საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII კონფერენციის მოახლოებამ. წარმოებაში საყოველთაო გამოხმაურება პოვა მთავარი საწარმოს სამკერვალო საამქროს № 6 ბრიგადის მკერავის ევგენია ლაზარაშვილის ინიციატივამ. მოწინავე მკერავმა ვალდებულება იკისრა პარტიულ კონფერენციამდე დარჩენილ ორ დეკადაში ყოველდღე ზეგეგმით 38 ცალი მაღალხარისხოვანი ნაწარმი შეკეროს. მის თაოსნობას წარმოების ათას ხუთასზე მეტმა მუშამ დაუჭირა მხარი. მათ შორის პირველი სამკერვალო საამქროს № 7 ბრიგადის მკერავი ნინო ჩობალაური იყო.

დღეს საუბარი სწორედ ამ ორ ქალიშვილზე გვექნება.

ე. ლაზარაშვილი ათი წელია ოაც გაერთიანებაში მუშაობს. მოწინავე მკერავია, ყოველ დავალებას მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება. პირადი ხუთწლედი მან ადვისტოში შეასრულა და მას შემდეგ 1981 წლის ანგარიშში შრომობს. ნაკისრი ინდივიდუალური, თბილისის საქალაქო ორგანიზაციის XXXVIII პარტიულ კონფერენციამდე დარჩენილ ოც დღეში ბეგმის გადამეტებით ყოველდღიურად გამოუშვა 38 ცალი საუკეთესო ნაწარმი, მან პირნათლად შეასრულა. ევგენია პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის წევრია, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით. მისმა თავდადებულმა შრომამ განაპირობა, რომ საწარმოს კოლექტივმა იგი მეოთხედ აირჩია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატად.

— ჩემი დევიზია, — მითხრა ე. ლაზარაშვილმა, — „იკისრე — შეასრულე კიდეც!“, რომელიც დიდად მიწყობს ხელს წარმატებით გავართვა თავი დასახულ ამოცანებს.

ოცდამეთვრამეტე კონფერენციას — 38 საუკეთესო!

როგორც აქ მითხრეს, მისი სიტყვა და საქმე ერთია თურმე. ამიტომ კოლექტივში მას პატივს ცემენ არა მარტო როგორც მოწინავე მკერავს და საუკეთესო დამრიგებელს, არამედ გულისხმიერ, პრინციპულ კომუნისტს.

ახლა ნინო ჩობალაურზეც მინდა გიამბოთ. საგარეჯოელ გოგონას თერთმეტი წლის წინათ დაუმთავრებია თბილისის 35-ე პროფტექნიკური სასწავლებელი. მას შემდეგ ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონში“ მუშაობს. მუყაითი შრომით მან მალე მიიქცია კოლექტივის ყურადღება. აკი ნდობაც გამოუცხადეს და კომუნისტური პარტიის რიგებშიც მიიღეს. ახლა ნინო ჩინებული მკერავია. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, არჩეულია ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს დეპუტატად. ისე იყოჩაღა, რომ მოწინავე მკერავმა პირადი ხუთწლედი მაისში შეასრულა.

შრომობს ქალიშვილი, მისი ნახელავი მუდამ ხარისხიანია. აბა რა სჯობს ლამაზად შეკერილ უზადო კაბას? მუდამ ახსოვს ეს მკერავს, ამიტომ არის, რომ იგი თავის ნახელავს გულისყურს არ აკლებს. შედეგიც მისაბაძი აქვს. თანამოსაქმეებმა ნინო თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატად აირჩიეს.

— ორივენი — ევგენიაც და ნინოც რაციონალურად იყენებენ თითოეულ წუთს, მეუბნება გაერთიანების პარტბიუროს მდივანი ლია კუპავა. — მართალია, დაძაბული შრომა უხდებათ, მაგრამ სიტყვის პატრონები არიან. თუ იკისრეს — შეასრულებენ კიდეც.

დიახ, ასეთები არიან „ბახტრიონელები“. ისინი პირნათლად იცავენ „თბილისური“ მარკის ღირსებას, თავგამოდებით იბრძვიან იმისათვის, რომ დედაქალაქის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითმა წილმა მომდინარე წლის დამლევისათვის 22 პროცენტს მიაღწიოს.

ლ. ჟინჟლაძე.

რომ ბაღნარმა იშრიალოს...

პარკები, სკვერები, ლანდშაფტები...

და ბუჩქი, გაშენდა 88 გაზონი (184490 კვ. მ.) გაახარეს მილიონ-ნახევარი ნაირ-ნაირი ყვავილი და სხვა...

თბილისის მწვანე. მშენებლობის საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველომ (უფროსი — გ. ბერიძე) მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ბევრი რამ იღონა. ხელმძღვანელი ორგანოების ხელშეწყობითა და დახმარებით სამმართველომ მწვანე ნარგაობათა ინვენტარიზაცია დაიწყო, ბოლო ინვენტარიზაცია 1956 წელს ჩატარდა. მას შემდეგ არავინ დაინტერესებულა ქალაქის მწვანე ნარგაობათა სტატისტიკური და აგრობიოლოგიური მდგომარეობით. ახლა დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე მაღალკალიფიციური კადრების აღზრდას, „თბილისქალაქპროექტში“ შექმნილია ლანდშაფტური არქიტექტურის სექტორი და სხვ.

მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დიდმის საბჭოთა მეურნეობამ გამწვანების სამმართველოს 500 ჰექტარი ფართობი გადასცა. აქ დაიწყო ახალი მექანიზმებით აღჭურვილი მსხვილი სასათბურე-საყვავილე მეურნეობის მშენებლობა. იგი მრავალნაირი ნერგებით მოამარაგებს თბილისს...

„თბილისქალაქპროექტმა“ ქალაქის გამწვანება-გასაყარეების გენერალური გეგმა შეიმუშავა. ამის საფუძველზე შედგენილია მომავალი ხუთწლიანი და 1980-2000 წლების პერსპექტიული გეგმები, რომელთა მიზანია თბილისის მოსახლეობის ცხოვრების, შრომისა და დასვენებისათვის ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შექმნა.

როგორც ხედავთ, თბილისის გამწვანების საქმეებს . საფუძველი ჩაუყარა XXXVII პარტიულმა საქალაქო კონფერენციამ, რომლის გადაწყვეტილებებიც წარმატებით სრულდება. ქალაქი ბაღნარად გადაიქცევა!..

ნ. ნუცუბიძე.

ესტაფეტა საზღვრისაკენ მიემართება

ღია ავტომანქანაში დადგმული სსრ კავშირის სახელმწიფო გერბიანი წითელ-მწვანე სასაზღვრო ბოძი ნელ-ნელა მიდის თბილისის ქუჩებში. საპატიო ესკორტშია ჯავშანტრანსპორტიორი, რომელზეც გაკრულია წითელი ტრანსპარანტი: „საზღვრისპირთის კომკავშირი — სკკპ XXVI ყრილობას“. საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდული ესტაფეტა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით მიდის, 24 დეკემბერს საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდა.

საესტაფეტო ჯგუფის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ვ. მასლოვმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვ. ლორთქიფანიძეს უპატაკა საქართველოს დედაქალაქში საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდული ესტაფეტის ჩამოსვლა. მისმა მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს მარადიული ცეცხლი, რომელთანაც საპატიო ყარაულში ჩამწკრივდნენ მწვანე-ქუდიანი მეომრები და პიონერები, დაიწყო საზეიმო მიტინგი.

ესტაფეტის მონაწილეებს მიესალმნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსის მოადგილე გენერალ-მაიორი პ. გიორგაძე, საქართველოს კომკავშირის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბერიძე, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში წარჩინებისათვის“ მედლის კავალერი ეფრეიტორი ვ. ბურდაკი.

გამარჯვების პარკში ჟღერს საზეიმო მელოდია. ქ. ახალციხის სასაზღვრო რაზმის ოფიცერმა უფროსმა ლეიტენანტმა გ. ოქუგოვმა მიიღო ესტაფეტა აპარის მესაზღვრეებისაგან. ესტაფეტა განაგრძობს გზას ქვეყნის სამხრეთი საზღვრების გაყოლებით, რათა მოსკოვში ჩავიდეს 23 თებერვალს — სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღეს. (საქინფორმი).

დიდი სამძიმარი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ლ. ა. ტიხონოვის სახელზე მოვიდა დეპეშები, რომლებშიც სამძიმარს გამოთქვამენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწის ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინის გარდაცვალების გამო.

სამძიმრის დეპეშებს ხელს აწერენ:

ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტ. ფოკანოვი;

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი;

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლე ზუანი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნგუენ ჰიუ თხო, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ჩიონ ტინი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი;

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ლ. მოისოვი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე ვ. ჯურანოვიჩი;

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფ. კასტრო რუსი;

მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო;

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. კანია, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. პინკოვსკი;

რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ი. ვერდეცი;

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი;

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი ლი დენ ოკი.

სამძიმარი გამოგზავნეს:

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბ. ქარმალმა;

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა, პრემიერ-მინისტრმა მ. კოივისტომ;

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნ. ს. რედიმ, პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ;

არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა;

მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ. ედუარდო დოშ სანტუშმა;

გვინეის სახალხო-რევოლუციური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა‌ამედ სეკუ ტურემ;

ეთიოპიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. ჰუსეინმა;

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა;

საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რ. ბარმა;

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ჰ. შმიდტმა;

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა;

იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ფორლანიმ;

იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ძ. სუძუკიმ;

ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ ა. სუარესმა;

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა პრეზიდენტმა რ. კირხშლეგერმა;

ფედერალურმა კანცლერმა ბ. კრაისკიმ;

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კ. კარამანლისმა, პრემიერ-მინისტრმა გ. რალისმა;

კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. კიპრიანუმ;

ნორვეგიის მეფემ ულაფმა;

ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. ნიერერემ;

ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰ. კაუნდამ;

კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰენგ სამრინმა;

ბენინის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მ. კერეკუმუ;

ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა შადლი ბენჯედიდმა;

პაკისტანის პრეზიდენტმა მ. ზია-ულ-ხაკმა;

პაიგკ-ის გენერალურმა მდივანმა, მწვანე კონცხის კუნძულების რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. პერეირამ;

ტუნისის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხ. ბორგიბამ;

შრი ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. რ. ჯაიუარდენემ;

იორდანიის პრემიერ-მინისტრმა მ. ბადრანმა;

დანიის პრემიერ-მინისტრმა ა. იორგენსენმა;

შვეიცის პრემიერ-მინისტრმა ფ. ფელდინმა;

ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დ. ანტონმ;

ნიკარაგუის მთავრობის ხელმძღვანელმა საბჭომ;

ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა რ. მალდუნმა;

მალტის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა დ. მინტოფმა;

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ა. რაჰმანმა;

მავრიკიის პრემიერ-მინისტრმა ს. რამგულამმა.

სამძიმრის დეპეშები გამოგზავნეს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა;

არაბული ქვეყნების ლიგის გენერალურმა მდივანმა შ. პლიბიმ.

სამძიმრები მოსულია მთელი რიგი სხვა სახელმწიფოებიდან, აგრეთვე საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებისაგან.

სამძიმარს აცხადებენ:

საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჟ. მარშე;

გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარე ჰ. მისი;

ესპანეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი;

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჰ. მაკლინანი;

პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი;

კანადის კომპარტიის გენერალური მდივანი უ. კაშტანი;

ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი;

დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის გამგეობა;

კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი ე. პაპაიოანუ;

ფინეთის კომპარტიის თავმჯდომარე პაული

[illegible];

ლუქსემბურგის კომპარტიის თავმჯდომარე რენე ჰირანი;

მექსიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი �o [illegible];

ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ალბანდი;

დომინგოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი;

კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხ. ვიეირა.

ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ვილნერი;

ინდოეთის კომპარტიის (მარქსისტული) ცენტრალური კომიტეტი;

სან-მარინოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი;

მარტინიკის კომუნისტური პარტია;

შრი ლანკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი;

ეკვადორის კომპარტიის გენერალური მდივანი პ. საადე;

ჩილეს სოციპარტიის გენერალური მდივანი ტ. ალმეიდა;

პუერტო-რიკოს კომპარტია;

პერუს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი;

ირლანდიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი;

სამძიმრები გამოგზავნეს აგრეთვე საზღვარგარეთის მეცნიერ რიგმა სხვა პარტიებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

* * *

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოუვიდა მრავალი დეპეშა და წერილი, რომლებშიც ა. ნ. კოსიგინის გარდაცვალების გამო სამძიმარს აცხადებენ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები, სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სასწავლებლების კოლექტივები, ჯარის ქვეგანაყოფები, ცალკეული საბჭოთა მოქალაქენი.

(საკდესი).

25 დეკემბერი

საკდესისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვაცნობებენ

საერთაშორისო ცხოვრება დედაქალაქის ჟურნალზე

□ პრესა ადასტურებს

ამაოდ ირჯებიან

პანოი, რა მონაჭორებსა და ფორმულირებასაც უნდა იშველიებდეს პეკინი, რომელიც უგულებელყოფს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის წინადადებებს ორი ქვეყნის ურთიერთობის პრობლემებზე ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკების განახლების შესახებ, ჰეშმარიტება ის არის, რომ იგი განზრახ ამწვავებს სოციალისტური ვიეტნამისადმი მტრული დამოკიდებულების ატმოსფეროს, წერს გაზეთი „ქუან დიო ნიან ზანი“.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, განაგრძობს გაზეთი, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ნოტაში, რომელშიც უარს ამბობენ მოლაპარაკების განგრძობაზე, უტიფრად ესხმიან თავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას. ამავე დროს ცდილობენ ვიეტნამს გადააბრალონ ის, რომ მოლაპარაკების მეორე რაუნდში არ იგრძნობა პროგრესი. რაც შეეხება ჩინეთის მხარეს, მას „კეთილი ნების“ გამომჰატავნელად წარმოსახავენ. პეკინი ყველა პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის მომხრედ ასაღებს თავს და აცხადებს, ჩინეთის დელეგაცია „მზად არის მყისვე გაემგზავროს ჰანოიში, როგორც კი პოზიტიური ფაქტორები გაჩნდებაო“.

ჩინეთის ნოტის შინაარსიდან ჩანს, რომ „პოზიტიურ ფაქტორებად“ გულისხმობენ ვიეტნამის თანხმობას ყველაფერში დაუკრას კვირი დიდმპყრობელური ენით შეპყრობილ პეკინს. ჩინელი ჰეგემონისტები აშკარა შანტაჟსა და სამხედრო ზემოქმედებას მიმართავენ და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისაგან მოითხოვენ დათმოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები და უარი თქვას მეგობრების მხარდაჭერაზე, უარი თქვას მოძმე საბჭოთა ხალხთან მეგობრობაზე და ჩინელ ჰეგემონისტთა კარნახით იცხოვროს. მაგრამ, ხაზს უსვამს „ქუან დიო ნიანი ზანი“, ამაოდ ირჯებიან.

ჩინეთ-ვიეტნამის საზღვარზე

პეკინი აღრმავებს დაძაბულობას

პანოი. ჩინეთი აღრმავებს დაძაბულობას ვიეტნამის საზღვარზე, ააქტიურებს შეიარაღებულ პროვოკაციებს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, იუწყება ვიეთ საagენტო.

ბოლო სამ თვეში ჩინეთის ქვეგანაყოფები 800-ჯერ შეიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიაზე, აფეთქეს გლეხთა სახლები, დაიტაცეს აღებული მოსავალი, გადაბუგეს ტყეები. ბანდიტური თავდასხმების შედეგად არის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი ვიეტნამის სასაზღვრო რაიონის მშვიდობიან მცხოვრებთა შორის. თითქმის ყოველდღიურად ჩინეთის არტილერია ცეცხლს უშენს ვიეტნამის ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო საგუშაგოებსა და დასახლებულ პუნქტებს, ხოლო ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების გემები ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებში შეიჭრნენ, იუწყება საagენტო.

უარყოფენ მონაჭორს

დელი. ინდოეთი გადაჭრით გმობს პაკისტანის, შრი ლანკისა და ბანგლადეშის პრესაში დახვედილ მასალებს იმის შესახებ, თითქოს იყოს მორიგება ინდოეთის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირისათვის სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგების თაობაზე, განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარ მტკიცებებს პროვოკაციული ხასიათი აქვს და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ინდოეთი მუდამ ილაშქრებდა სუვერენულ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი ცნობები ზიანს აყენებს კეთილმეზობლურ ურთიერთობას, რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას.

ბოზამბიკის მოსახლეობა

ბოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობამ ამჟამად 12 მილიონ 180 ათასს მიაღწია. აქ გამოქვეყნებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარს 15 წელზე ნაკლები ასაკის მოქალაქენი შეადგენენ, მამაკაცები — 48,7, ხოლო ქალები— 51,3 პროცენტს.

ფოტოოგიექტივი ამხილებს

□ გფრ

1981 წელი — უიმედობის წელი

უიმედობის პერსპექტივები ისახება 1981 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკურ პოლიტიკაში. უმუშევრობა, ინფლაცია, მრეწველობის დაქვეითება, რომლებსაც წამყვანი ეკონომისტები და ოფიციალური ბონი ვარაუდობენ, მოწმობს, რომ ამ ქვეყანაში, ისე როგორც „საერთო ბაზრის“ მონაწილე სახელმწიფოებში, მორიგი კრიზისი იწყება.

ფედერალური მთავრობის აზრით, გაისად დასავლეთგერმანელ უმუშევართა არმია 1,1 მილიონს მიაღწევს. ამჟამად უმუშევრობა „კანდიდატები“ არიან ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის უდიდესი კონცერნის — „ხიოშის“ მუშები, მრეწველები, რომლებიც ცდილობენ სიძნელეებს მშრომელთა ხარჯზე დაიღწიონ თავი, ავეცავენ წარმოებას და მასობრივად ითხოვენ მუშებს სამუშაოდან. კონცერნის ქარხნებში სამუშაო ადგილს დაკარგავს რამდენიმე ათასი კაცი.

იმის საშიშროება, რომ ქუჩაში აღმოჩნდებიან რურის მეფოლადეებსაც ემუქრებათ. ამიტომ ისინი გადაჭრით ილაშქრებენ მეპატრონეთა თვითნებობის წინააღმდეგ, თავიანთი შრომის უფლების დასაცავად.

სურათზე: მეტალურგთა მასობრივი მანიფესტაცია დორტმუნდში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ჩადი: ცხოვრება კალაპოტში დგება

პარიზი. კალაპოტში დგება ცხოვრება ჩადის რესპუბლიკის დედაქალაქ ნჯამენაში. თავის კერას უბრუნდება ათასობით ნჯამენელი, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საომარი საომარი მოქმედების შედეგად. დანგრეულია ქალაქის ბევრი უბანი, ქუჩებს ატყვია ამასწინანდელი ბრძოლების ნაკვალევი. საინფორმაციო საagენტოთა ცნობებით, ასეთივე სურათია ქვეყნის სხვა რაიონებში, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, ომდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები. ჩადის ეროვნული ერთიანობის გარდამავალ მთავრობას რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები აქვს გადასაწყვეტი. მთავრობის მეთაურმა უედეიმ ერს მოუწოდა დაივიწყოს უთანხმოება და ყოველი ღონე იხმაროს მშვიდობისა და ერთიანობის აღსადგენად, იბრძოლოს ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის. არასტაბილურობა ჩვენს ქვეყანაში უშუალო საფრთხეს უქმნის მეზობელ სახელმწიფოებსა და მთელ კონტინენტს, თქვა მან.

ᲨᲢᲠᲘᲮᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რას მოითხოვს ალენი?

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, მთავრდება რ. რეიგანის რესპუბლიკური ადმინისტრაციის კაბინეტის შექმნა. პრეზიდენტ რ. რეიგანის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების დარგში დაინიშნა რიჩარდ ალ

ჰაუ, რამდენი ქუჩაა!

რამდენი ფერწერული ტილო, ლექსი და სიმღერა შექმნილა თბილისის ქუჩებზე, შუაკუბსა თუ ქუჩაბანდებზე. ვინც ერთხელ მაინც სტუმრებია ჩვენს დედაქალაქს, უთუოდ მოხიბლულა მისი კოლორიტული, მიხვეულ-მოხვეული, ვიწრო, ქვაფენილი ქუჩებით — ზედ გადმოკიდებული აივნები ლამის ერთმანეთს რომ მიჰკვრიან. მენახირე და მემწვანილე ბიჭებს, მემაწყნე ქალებს და მენავთეებს ხომ ისეთი ქუჩებიც ყოფნიდათ ერთმანეთისათვის გვერდის ასავლელად.

რამდენი რამ შეიცვალა თხუთმეტი საუკუნის თბილისში. რამდენი ქუჩა გაქრა, რამდენი სახლი დაინგრა ან აშენდა, რამდენჯერ ნაცარტუტად უქცევია მტერს თბილისი...

მაგრამ ქალაქი მაინც შენდებოდა, ნელ-ნელა შლიდა მხრებს და, ალბათ, ორი აზრი არ არსებობს, რომ დღევანდელ, ახჩახა და გაბრწყინებულ, მხარგაშლილ და გულგახსნილ თბილისს ვერც ერთი დროის თბილისი ვერ შეედრება.

შუკების და ქუჩაბანდების ადგილას განიერი პროსპექტები და გზატკეცილები, ქუჩები და მოედნები გადაიქმა, თვითონ კი, ისტორიად ქცეულნი, თითქოს ჩრდილში მიდგნენ. მაგრამ მაღლიერმა დღევანდელობამ არც ისინი დაივიწყა. ახლახან ჩვენ თვალწინ აღდგა თბილისის რამდენიმე ძველი უბანი თავის ქვაფენილი ქუჩებით და, როდესაც თბილისის ქუჩებზე ვსაუბრობთ, მათ განსაკუთრებული სიყვარულით ვიხსენებთ ხოლმე. დიახ, თბილისელებს აქვთ „სიძველისადმი გრძნობა, პატივი“.

ალბათ, ბევრი ჩვენგანი დაინტერესებულა რამდენი ქუჩა, პროსპექტი, ჩიხი, შესახვევი ან მოედანია თბილისში.

როგორც „თბილისქალაქცნობის“ დირექტორმა სულიკო სვანმა გვითხრა, მათი საერთო რაოდენობა დღეისათვის ათას ცხრაას აღწევს, მათ შორის 32 მოედანი და 8 პროსპექტია.

თუ იმასაც ვიტყვით, რომ მოსკოვში და მის შემოგარენში მცხოვრები ათ მილიონამდე კაცი 4.000-მდე ქუჩაზე სახლობს, აღმოვაჩენთ, რომ თბილისი მსოფლიოს ქუჩამრავალ ქალაქთა შორის ერთ-ერთ წინა ადგილზეა. ქუჩათა ასეთი სიმრავლე ჩვენს დედაქალაქში, უპირველეს ყოვლისა, მთაგორიანი რელიეფით არის გამოწვეული. განსაკუთრებით ბევრია მოკლე ქუჩა.

ბუნებრივია, თბილისში ქუჩები და ალბათ, მათი სახელწოდებებიც ქალაქის დაარსებისთანავე გაჩნდა. თუმც ძნელია იმის თქმა, რომელი სუკუნიდან დაიწყო ქუჩათა სახელების ოფიციალური გაფორმება. რაკი ჩვენი დედაქალაქის დაარსებასაც და მისი სახელის დარქმევასაც თბილ წყლებს უკავშირებენ, ერთ-ერთ ძველ ქუჩად შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი აბანოს ქუჩის ადგილზე მდებარე გზა (აბანოს გზა), რომლითაც ახალი ქალაქის მოსახლეობა თბილ წყლებამდე (როცა პირველი აბანოები ააგეს) მიდიოდა.

ერთ-ერთი უძველესია აგრეთვე დღევანდელი შავთელის ქუჩა, რომელიც ბარათაშვილისა და ერეკლე მეორის მოედანს შორის მდებარეობს. წინათ მას ანჩისხატის გზა ერქვა. ეს სახელწოდება მან შეთორმეტე საუკუნის დასაწყისში მიიღო, როდესაც ამ ადგილას ქართული ბაზილიკური ტაძარი ანჩისხატი აიგო. ამ ქუჩას ძველ სახელი თითქმის რვა საუკუნე ერქვა და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ეწოდა შავთელის ქუჩა.

1851 წლის ქალაქის გეგმაზე მხოლოდ რამდენიმე ათეული ქუჩა იყო აღნიშნული. XIX საუკუნის ბოლოს კაპიტალიზმის განვითარებამ თბილისს მრავალი ქუჩა შესძინა, რომელთაც თვითმპყრობელური ცარიზმის გავლენით ხელისუფლების რეაქციულ აპარატში მოღვაწე ჩინოვნიკების სახელები დაერქვა.

დღევანდელ რუსთაველის პროსპექტს, რომელიც საუკუნეების წინათ დიღმის გზად (ამ გზით ჯავშირდებოდნენ სოფელ დიღომს) იწოდებოდა, სწორედ მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში დაერქვა გენერალ გოლოვინის სახელი. იმ დროსაც, ისევე როგორც დღეს, ეს პროსპექტი დედაქალაქის დედაქუჩა გახლდათ. იმდროინდელი ჟურნალისტი ლუნკევ ვალინგი, ხატავს რა თბილისის სურათს, გოლოვინის პროსპექტზე ასე წერს:

„ბულვარებით შემოჯარული და გაზის ფარნებით განათებული გოლოვინის პროსპექტი საღამოობით დედაქალქის მთელ საზოგადოებას იზიდავს. დღის პაპანაქების და მომქანცველი შრომის შემდეგ ხალხი დასეირნობს პროსპექტზე და ისვენებს მის ბულვარებში. რას არ დაინახავ აქ. აქეთ ეროვნულ, მოხატულ ტანსაცმელში გამოწყობილი, მთლად იარაღში ჩამჯდარი ჩერქეზი მოდის; დიდი ფაფახი უფრო ნათლად გამოკვეთავს მისი მკაცრი სახის ნაკვთებს. თავისი მხარის მთებისა და ხეობების უკაცრიელობას შეჩვეული მისი თვალები გაოცებას გამოხატავს, როდესაც ამ აკრეალებულ საზოგადოებას უცქერის. მის გვერდით ფართე მოსასხამში შეფუთვნილი სპარსი მოდის ფრთხილი ნაბიჯით. აგერ, მხიარული სახის თითქოს უზრუნველი ქართველიც, შნოიანად რომ აუკეცავს ოქროთი მოსირმული ჩოხის კალთა და ქართველი ლამაზმანიც, დინჯი სიარულით და მსუბუქი გრაციით თავისი ლამაზი ტომის წარმომავლობით ამაყი, კეთილშობილურად რომ მოგიგმანებს...“

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გოლოვინის პროსპექტს უკვდავი შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა და დღეს თანამედროვე ქალაქის თანამედროვე ქუჩად იქცა.

დასაწყისში, როდესაც საუბარი ქალაქის მთაგორიან რელიეფზე გვქონდა, აღვნიშნეთ, რომ თბილისში ბევრია მოკლე ქუჩა. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს დედაქალაქში უკანასკნელ ხანებში ასევე მომრავლდა გრძელი პროსპექტები, ავტოსტრადები თუ ქუჩები. როგორც ქალაქ თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს საექსპლოატაციო გაწყოფილების გამგემ ნ. იმედაშვილმა გვითხრა, დღეისათვის ჩვენს დედაქალაქში ყველაზე გრძელია აეროპორტისაკენ მიმავალი ავტოსტრადა — 10.500 მეტრი. მას მოჰყვება ავჭალის გზატკეცილი — 9.420 მ, შემდეგ მოდის ვაჟა ფშაველას გამზირი —5.248 მ. და ბ. ხმელნიცკის ქუჩა — 3.993 მ. გრძელი ქუჩების რიცხვშია ოქტომბრის ქუჩა — 2.935 მ, ლენინის ქუჩა — 3.079 მ, პლეხანოვის გამზირი — 2.018 მ, აგრეთვე ორჯონიკიძის, კლარა ცეტკინის, შაუმიანის, ბარნოვის და სხვა ქუჩები.

თბილისში ყველაზე მოკლეა სარგის თმოგველის ქუჩა, რომლის სიგრძე სულ 36 მეტრია. მოკლე ქუჩებია ნუკრიანისა — 42 მ, ქიდის კომუნისა — 48 მ, აგრეთვე კიროვის, დადიანის, მეჩნიკოვის, ჩაბანოს და სხვა ქუჩები.

თბილისელები შეამჩნევდნენ იმას, რომ სულ ახლო წარსულში დედაქალაქის ორ ან სამ ქუჩას ერთი და იგივე სახელი ერქვა. ამის მიზეზი ის იყო, რომ 1956 წლამდე თბილისის ქუჩებს რაიონული საბჭოს აღმასკომები არქმევდნენ სახელებს, რის გამოც დასახელებების გაორება ხშირად ხდებოდა. 1956 წლიდან თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეიქმნა კომისია, რომელმაც დედაქალაქის ქუჩათა სახელწოდებები ერთ მთლიან სისტემაში მოაქცია და მოაწესრიგა, მაგრამ ქალაქის ზრდამ და ზოგიერთი უბნის შემოერთებამ ეს საკითხი „კლავ“ დააყენა დღის წესრიგში. მაგალითად, ფონიჭალის თბილისთან შემოერთებისას გამოირკვა, რომ ფონიჭალაშიც იყო პუშკინის, წეროლის და მახარაძის ქუჩები. მათ მალე შეეცვალათ სახელები და შესაბამისად ძველი ბოლშევიკების ლომინაძის, ლოლობერიძის და სურგულაძის სახელები დაერქვა.

ყველა ქუჩა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განირჩევა. რატომ არის, რომ ყველაზე მეტი მოქალაქე სწორედ რუსთაველის პროსპექტზე იყრის თავს. ამის მიზეზი ის არის, რომ რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობს ოთხი თეატრი, სამი კინოთეატრი, სამი საგამოფენო დარბაზი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. მრავლად არის აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები.

ჭავჭავაძის პროსპექტზე ყველაზე მეტი — ოთხი უმაღლესი სასწავლებელია და სწორედ ამის გამოა, რომ თბილისის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ამ ქუჩაზე იყრის თავს. ახალგაზრდობის სამრავლე თვალსაჩინოებაა აგრეთვე ლენინის ქუჩაზე, სადაც საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის თითქმის ყველა კორპუსია თავმოყრილი.

საინტერესოა, რომ, დედაქალაქის ქუჩათა საერთო სიგრძე 850 კილომეტრია. — დაახლოებით იმდენი, რამდენიც თბილისიდან დონეცკამდე პირდაპირი გზა.

დიახ, იზრდება თბილისი, მას ყოველდღე ემატება ახალი ქუჩები და უბნები. ყველა ნამდვილი თბილისელი ცდილობს თავისი ქუჩა სხვა ქუჩას არ ჩამორჩეს, გაალამაზოს, გაამწვანოს თავისი ეზო. ბოლო წლებში ჩვენ მოწმე ვართ, რამდენი ბულვარი თუ ხეივანი შეემატა თბილისის ქუჩებს, რამდენმა ახალმა, თანამედროვე სტილის ნაგებობამ დაამშვენა ისინი.

ბ. პაპუაშვილი.

რედაქციის მინაწერი:

დიახ, იზრდება ჩვენი დედაქალაქი, იზრდება ქუჩათა და პროსპექტთა რაოდენობა, მილიონიან ქალაქს უოველდღიურად ათასობით ადამიანი სტუმრობს, რომელთაც სურთ ჩვენი დედაქალაქის დათვალიერება, მისი ისტორიული წარსულის თუ აწმყოს გაცნობა.

ქალაქის ქუჩათა სახელების ისტორია ჩვენი ხალხის ისტორიაც არის, რომლის ცოდნა ჩვენთვის მარტო საინტერესო კი არა, საჭიროც გახლავთ. ბევრმა არც იცის, ვისი სახელი ჰქვია მის ქუჩას, რა გააკეთა მან ისეთი, რომ უკვდავყოფა დაიმსახურა და ა. შ.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამოიცა თბილისის ქუჩების ცნობარი, რომელშიც მეტად ძუნწი ცნობებია თავმოყრილი. ამ წიგნმა შეიძლება ივარგოს როგორც საქმის დასაწყისმა, ნამდვილ საქმე კი ის იქნება, რომ გამოიცეს ისეთი სოლიდური წიგნი, რომელშიც აღწერილი იქნება თბილისის ქუჩათა საინტერესო ისტორია, მოთავსებული იქნება როგორც ქალაქის, ასევე ცალკეული უბნების სქემები და სხვა. თბილისქალაქს აუცილებლად ესაჭიროება ასეთი წიგნი და რაც უფრო მალე გამოიცემა იგი, მით უკეთესია.





სურათებზე: მტკვრის მარჯვენა სანაპირო (ზემოთ); ძველი თბილისის ქუჩაბანდები.

ა. ჩანტლაძისა და ზ. დათუაშვილის ფოტოები.

ეს სიმღერაა საქართველოსი!..

ეს საქართველოს გულის ძახილია. ჩვენი ცეკვა-სიმღერა სტუმრებია დედათბილისს, ჩამოსულან ყველა კუთხიდან, — „მღერიან მხნედ, ომახიანად, მღერიან „გუთხურს“, „ჩელას“, „გაფრინდი, შავო მერცხალოს“, „საქორწილოს“. გული სიხარულს ვეღარ იტევს, ვიხარია შენი ქვეყნისა და ერის მრავალფამიერი.

ახლახან თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა მოაწყო მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კოლექტივების საჩვენებელი კონცერტი, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას.

საზოგადოების პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება პერიოდულად შესთავაზოს თბილისელ მაყურებლებს რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები შედარებით სრული სახით, ვიდრე ეს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზეა ნაჩვენები. ეს საშუალებას აძლევს ამა თუ იმ კოლექტივს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები.

— საზოგადოებას განზრახული აქვს, — გვითხრა პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, კომპოზიტორმა ო. გორდელმა, — ამ კონცერტით დაიწყოს ციკლი „ეს სიმღერაა საქართველოსი“, რომელიც ხელს შეგვიწყობს წარმოვაჩინოთ საუკეთესო თვითმოქმედი კოლექტივები.

საინტერესო წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი მახარაძეში, სადაც ჩამოყალიბდა გურული ხალხური სიმღერების ансამბლი და შემსრულებელი სტუდია, რომლის წარმომადგენლებიც „დღეს ჩვენი სტუმრები არიან, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გიორგი სალუქვაძის ხელმძღვანელობით.

სცენაზე კი ერთმანეთს ცვლიან ансამბლები. აი, ზუგდიდის საქალაქო ансამბლი „ჩელა“ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. კვესაძის ხელმძღვანელობით. შესრულების მაღალი კლასი, მრავალფეროვანი რეპერტუარი მას პროფესიულ ансამბლთა რიგებში აყენებს. საინტერესოდ წარსდგა მაყურებლის წინაშე თელავის მოცეკვავეთა ансამბლი „საზეიმო“, რომელიც ქორეოგრაფიული სტუდიის აღზრდილების ბაზაზეა შექმნილი. დიდი მოწონება ხვდა წილად ქორეოგრაფიული საზოგადოებისა და ხალხური შემოქმედების სახლის მოცეკვავეთა ансამბლ „არაგველებს“. ეს ансამბლი ექსპერიმენტულია და ძირითადად ახალ, თანამედროვე ქართულ ცეკვებს ასრულებს.

კონცერტის ბოლოს ორი საუკეთესო კოლექტივის „ჩელასა“ და „გორის“ მიერ ა. ხოლმინოვის „ლენინის“ ერთობლივი შესრულება მთელი საღამოს აპოთეოზად იქცა.

ნ. თათელაძე.

ციფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

29 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — ბავშვებისათვის — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „პაკეტი“ (მ.), 11.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.50 — სოციალისტური ქვეყნების დოკუმენტური ფილმების პროგრამა (მ.), 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.25 — „ჩვენი სტუმრები“, 17.50 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.20 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“, 19.10 — „ქართული ოპერეტის პრემიერა კიევში“, 19.45 — „მოამბე“, 20.15 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად“ — ბელორუსის ტელევიზიის პროგრამა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „მარტყოფი“, 23.10 — „სპორტული კალეიდოსკოპი“, 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.05 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სახელი-გამომგონე ბ ე ლ ი“, 15.55 — მულტიპლიკაციური ფილმები, 16.10 — განცხადებები, 16.15 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 17.00 — მხატვრული ფილმი „დღესასწაულის დღეს“, 18.25 — „პოეზია“ — რევაზ ამაშუკელი.

30 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ელექტრონიკის თავგადასავალი“. პირველი სერია (მ.), 11.20 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 15.30 — ახალი ამბები (მ.), 15.45 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა (მ.), 16.10 — „ბიჭუნა და კარლსონი, რომელიც ცხოვრობს სახურავზე“ მოსკოვის საკინრის თეატრის ფილმსპექტაკლი (მ.), 17.40 — „ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა ლენინგრადში“, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — მოსწავლეთათვის — „ათი „ათასად ზრდილობა“, 19.55 — „მოამბე“, 20.25 — მხატვრული ფილმი „მიმინო“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ციკლიდან „კოშტნისტები“ — სიმონ ხეჩინაშვილი, 23.25 — „საესტრადო პანორამა“, 00.25 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 15.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ბობრალი“, „ვეფის ქურდები“, 15.55 — განცხადებები, 16.00 — კონცერტი, 16.35 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 17.20 — მხატვრული ფილმი „ანალგაზრდა ცოლი“.

31 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — საგელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ელექტრონიკის თავგადასავალი“. მეორე და მესამე სერია (მ.), 17.00 — „ცეროდინას ეკრანი“, 17.30 — „ოცალთაი“ — საგელევიზიო ჟურნალი, 18.15 — „სკკპ 26-ე ყრილობის შესახვედრად“ — „დიადი წიგნის ფურცლები“ ფილმი მეხუთე (მ.), 19.20 — „გიწვევთ საახალწლო სუფრასთან“, 20.25 — „მოამბე“, 21.15 — „საახალწლო შეხვედრა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „საახალწლო შეხვედრა“, 00.50 — „ცილოცავთ ახალ წელს (მ.), 01.05 — „ცისფერი ეკრანი“ (მ.).

მეორე პროგრამით: 14.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 15.25 — განცხადებები, 15.30 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 16.15 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცისფერი ნაძვის ი ს მხარეში“, 16.35 — მხატვრული ფილმი „ქალიშვილს პაემანზე მიეჩქარება“.

1 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.45 — „მლერის მართვე“ — საგელევიზიო ფილმკონცერტი. პრემიერა, 10.35 — საგელევიზიო მრავალსერიანი მულტიპლიკაციური ფილმი „დიდებული ფერფლინდი“ — პირველი, მეორე და მესამე სერია (მ.), 11.05 — „ფიფქების ფანტაზია“, 12.05 — „ეუთოწლეულის მაგიანე“, 13.05 — „ჩვენი სახალწლო კინოდარბაზი“ (ბავშვებისათვის) ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი“ პირველი და მეორე სერია და დისნეის მულტფილმების პროგრამა, 14.20 — „ეუბის ტელევიზიის პროგრამა, მიძღვნილი ეუბის რევოლუციის გამარჯვების 22-ე წლისთავისადმი (მ.), 15.50 — „განმიარული ფილმი, ბუსარო“, 17.00 — „ცეკვავს ნ. მახარაძე“, 17.25 — „სახალწლო შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედთა საგელევიზიო კლუბში“, 18.45 — „ილუზიონი“ — 1. „კინოფანტაზია“ (მელოდიები მუსიკალური ფილმებიდან); 2. საგელევიზიო კინოფესტივალი „სიცილი ეკრანზე“, 21.05 — „ეს ესტრადაა“..., 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ძველი თბილისის თეატრული სურათები“.

მეორე პროგრამით: 14.10 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სოლო სპილოსა და ორკესტრისათვის“, 16.15 — მუსიკალური ფილმი, 16.55 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სიმღერის დაბადება“.

2 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „სამეგლისო განწყობილება“, 10.10 — „ინოლა გურგულიას სიმღერები“ — საგელევიზიო ფილმ-კონცერტი, პრემიერა, 10.35 — მულტიპლიკაციური მრავალსერიანი ფილმი „დიდებული ფერფლინდი“. მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სერია (მ.), 11.05 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.35 — „ბავშვებისათვის—„ზღაპარი, ზღაპარი“, 12.10—„ჩვენი საახალწლო კინოდარბაზი“. ბავშვებისათვის პროგრამაშია: 1. „თოვლინები გვიელიცავენ“, 2. ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი“. მესამე და მეოთხე სერია, 3. საზღვარგარეთული ნახატი ფილმები, 14.15 — „მუსიკალური ფოსტა“, 15.15 — „ლიგერატურული ცხოვრება“, 16.25 — „ელობუნი“, 17.20 — „ილუზიონი“. 1. „კინოფანტაზია“ (მელოდიები ქართული ფილმებიდან), 2. „სიცილი ეკრანზე“, 19.40 — „სადღეგრძელო“, 20.35 — „მოამბე“, 21.05 — „სულს მოენატრა ძველი ზღაპარი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 23.35 — „ჩემი საყვარელი კინოკომედია“.

მეორე პროგრამით: 15.30 — საეს ტრადო კონცერტი, 16.05 — დოკუმენტური ფილმი „დაუფიქრებელი სიმარილი“ 17.10 — მხატვრული ფილმი „ქაფი“.

3 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ეუჩხი ბედნიერი“, 10.10 — „ჩვენი საახალწლო კინოდარბაზი“ (ბავშვებისათვის), ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი“, მეოთხე და მეექვსე სერია, 10.30 — „მაღვიძარა“ (მ.), 11.00 — „საახალწლო რეპორტაჟი ტყიდან“, 11.40 — ქართული საგელევიზიო ფილმი „ბაღჩის დირიჟორი“. პრემიერა, 12.00 — „გადაცემა საკავშირო ტელევიზიის „ეკრანი“ ბავშვებისათვის“, 12.45 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — „თანამედროვენი“ — „ქართული ფილმი 80“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მ.), 15.00 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენ რუსთაველნი ვართ“. პრემიერა (მ.), 15.35 — თოვლინების სახელმწიფო ცენტრალური თეატრის ფილმ-სპექტაკლი „ეშმაკი ზღარბი“. პრემიერა, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ს. ობრაზცოვის ხელმძღვანელობით (მ.), 16.45 — „თბილისური მელოდიები“, 17.15 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.25 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.25 — „იავნანა“ — საგელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის, 19.20 — „მოამბე“, 19.50 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „ადამი ირთავს ევას“ პირველი და მეორე სერია, პრემიერა (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „საახალწლო რევიუ“.

მეორე პროგრამით: 12.30 — დოკუმენტური ფილმი, 13.05 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „პრინცესა ცერცვის მარცვალზე“, 14.30 — კონცერტი, 15.05 — დოკუმენტური ფილმი „ჩაი, ნამცხვარი და კინო“, 15.25 — მხატვრული ფილმი „ძველმოცური კომედია“.

4 იანვარი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (მ.), 10.35 — „გიწვევთ საახალწლო სუფრასთან“. განმეორებით, 17.00 — ბავშვებისათვის — „გიწვევთ კარნავალზე“, 17.30 — „ჩვენი საახალწლო კინოდარბაზი“ (ბავშვებისათვის), ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი“, მეშვიდე სერია, მხატვრული ფილმი „სამი კაკალი კონკისათვის“. 19.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო“ — მოსკოვის ცსკა, რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან, 20.30 — კინოჟურნალი, 20.40 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დელფინი ეძებს მეგობარს“. პრემიერა, 21.00 — „მოამბე“, 21.30 — ქართული საგელევიზიო ფილმი „კოვრის ტყის სიზმრები“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ფოლკლორის სალამო ახალციხეში, 00.05 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 12.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 13.05 — დოკუმენტური ფილმები: „ცხვირპაჭუები“, „სიცილის გამოცანები ბ ბ ე და...“, 14.20 — მულტიპლიკაციური ფილმები, 14.50 — მუსიკალური ფილმი, 15.35 — მხატვრული ფილმი „ჭირვდება ბინა ბავშვიურთ“.

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



29 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, „რით ვახვეთით ყრილობას“, 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.15 — „პიკის საათი“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა, 10.00 — „გაზეთ „პრავდის“ ფურცლებზე (მ.). 11.15 — კამერულ-ინსტრუმენტული „პიესები, 11.25 — „პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია“. საუბარი „მეცნიერების ჰორიზონტები“, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — მღერის ანსამბლი „კოლხეთი“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ა. აბაშელის ლექსები, 12.30 — ფ. შოპენი. პიესები სიუიგიდან „სილფიდები“, 12.40 — „კომეტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — „ეკრანის მელოდიები, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — „ცისფერი ეკრანი“. სიმღერები, 14.00 — „ლიტერატურული „კითხვა“. გ. ლეონიძე — „ნაგვრის ხე“. (გაგრძელება), 14.20 — ა. მაჭავარიანი. საგიოლინო კონცერტი, 15.00 — ბაბის ჩირაღდნები. რადიომოთხრობა (მ.) 16.45 — „სსრ კავშირი — გადამწყვეტი ძალა გაბიარაღების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში“ (მ.), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — „მოძმე ერების ოჯახში“. კონცერტი, 17.35 — მოსწავლეთათვის — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — „პარტიული კონფერენციებზე“, 19.40 — „საბჭოთა ხალხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ. აზრი, წინადადებანი, დამატებანი“ (მ.), 20.30 — ს. ანგარონოვი. „ხასელმწიფო გერბი“. რადიოდადგმა, 20.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.50—„მოძმე ერების ოჯახში“. კონცერტი, 21.00—„ბინისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიბაბუკი“ — საახალწლო გამოშვება, 22.00 — „სიმღერა-80“, 23.30 — თ. წერეთლისა და ლ. უტიოსოვის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

31 დეკემბერი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.50 — „სოფლის დილა“, „დიდი ოჯახის სიხარული“. 07.31 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ვრცელია ჩემი საშობლო“, კონცერტი, 09.45 — აფხაზური სიმღერები, 11.15 — მ. ხაგელეშვილი. სიმღერები, 11.25 — „მეცნიერთა თანამეგობრობა“, 11.35 — მუშაქი მუსიკა, 12.10 — უკანასკნელი ცნობები, 12.15 — „მაზურკები“, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. ლ. ასათიანის ლექსები, 12.30 — საოპერო არიები ჟანშიკე დი სგეფანოს შესრულებით, 12.40 — „კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მღერის „ცისფერი ბარი“, 13.30 — „გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — „ლიტერატურული „კითხვა“. გ. ლეონიძე — „ნაგვრის ხე“, 14.20 — თ. თაქთაქიშვილი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი, 15.00 — „მეგობართა ხმები“ — გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მ.), 16.45 — ციკლიდან „ჯანმრთელობა“. საუბარი „მოსწავლეთა ზამთრის დასვენება“ (მ.). 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. „ლაპარაკობს ნაძვი“, 18.00 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, 19.00 — „კომუნისტები“. რადიონარკვევი „ბულის ხარნახი“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.40 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 20.30 — „თეატრი მიკროფონთან“. ჭუთასისის ლ. ბესარიონიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ვალი“, 22.10 — საოპერო მუსიკა, 23.30 — „მიკროფონი-80“. უკრაინის საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

1 იანვარი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — კონცერტი. „მრავალ ახალ წელს“, 06.50 — „სოფლის დილა“. „საახალწლო ფიქრები“, 07.31 — „საახალწლო კონცერტი, 08.37 — კონცერტი გაგრძელება, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.00 — „ახალ წელს ეილცავთ, ამხანაგებო!“ მილოცვა საბჭოთა ხალხისადმი, 11.15 — „ჩემი სამშობლოს ველებზე“. კონცერტი, 12.00 — „ჩვენ ოოლუციის ბაიჯები“. ახალი ბალის ეროვნული დღესასწაულის — „სოფლის დილა“ — „უმღერიან ახალ წელს“, 07.31 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთი „პრავდის“ მიმოხილვა (მ.). 08.37 — მელოდიიდან მელოდიამდე, 09.45 — ქართული ეკრანის მელოდიები, 10.15 — „დილა მშვიდობისა!“ (მ.), 11.15 — პოპულარული საფორტეპიანო მინიატურები, 11.40 — „მშობლიური ბუნება“ (მ.), 12.00 — „ლექსო, ნუ დაიკარგები“, 12.30 — კონცერტი „მასპინძელსა მხიარულსა“, 13.00— „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მ.), 13.30 — „გაზეთი „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ი. კეჟაყმაძე — სიმღერები, 14.00 — ა. ბერინი. „ალისფერი იალქნები“. რადიოდადგმა, 15.00 — „თქვენთვის, ესტრადის მოყვარულებო“, 16.15 — რადიოკურსანი საბჭოთა არმიის მეიმრებისათვის, 16.50 — ნ. სულხანიშვილი. „გუთხური“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.30 — მოსწავლეთათვის — რადიოდადგმა „ის მოხდა შუაღამისას“, 18.00 — „მსოფლიოს ერთი ჯვრის ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“. კონცერტი, 19.00 — ნარკვევი „თეთრი უშიშელი“, 19.15 — მუ